

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ მენეჯმენტის ახალ გუნდს წარადგენს

დღეს სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, ლადო გურგენიძემ მენეჯმენტის გუნდის ახალი წევრები წარადგინა. 2009 წლის სექტემბერში „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ ბანკის სააქციო კაპიტალის 91.218%-ის შესყიდვის შემდეგ მენეჯმენტს ლადო გურგენიძესთან ერთად 16 პროფესიონალი შეემატა. მენეჯმენტის ახალი გუნდის წევრებს მუშაობის გამოცდილება აქვთ როგორც წამყვან ქართულ, ისე საერთაშორისო ბანკებში როგორც არის „UBS“, „BNP Paribas“, „Société Générale“ და „პროკრედიტ ბანკი“, აგრეთვე პროფესიონალური მომსახურების ფირმებში „Ernst & Young“ და „DLA Piper“.

გიორგი არველაძე დაინიშნა დირექტორად სპეციალური პროექტების დარგში. იგი აგრეთვე ზედამხედველობას გაუწევს პირადი ბანკირის სამსახურისა და „ლიბერთი სიქიურითის“ საქმიანობას. ბანკში გადმოსვლამდე გიორგი მუშაობდა „BNP Paribas“-ის ფასიანი ქაღალდებისა და სასაქონლო დერივატივების დეპარტამენტში სტრუქტურირებული პროდუქტების გაყიდვებზე. „BNP Paribas“-ში გადასვლამდე გიორგი მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში საერთაშორისო რეზერვების სამსახურის ხელმძღვანელად/მთავარ დილერად (2006-2007 წლებში), ეკონომისტ-მთავარ დილერად 2003-2005 წლებში და ეკონომისტ-დილერად 2002-2003 წლებში. გიორგის მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი ლონდონის ბიზნეს სკოლაში.

ალექსანდრე (ლექსო) ლიპარტელიანი დაინიშნა დირექტორად კორპორატიული და სამერჩანტო საბანკო საქმიანობის დარგში. ბანკში გადმოსვლამდე ლექსო მუშაობდა „კავკაზუს აგროდეველოფმენტში“ გენერალურ დირექტორად. „კავკაზუს აგროდეველოფმენტში“ გადასვლამდე ლექსო იყო საინვესტიციო მიმართულების დირექტორი „გალტ & თაგვარტ კაპიტალში“. „გალტ & თაგვარტ კაპიტალში“ გადასვლამდე ლექსო მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე „საქართველოს ბანკში“ მათ შორის კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო დეპარტამენტის თანადირექტორად 2006-2008 წლებში და საინვესტიციო საბანკო მიმართულების უფროსად 2005-2006 წლებში. „საქართველოს ბანკში“ მუშაობის დაწყებამდე ლექსო იყო დირექტორი კაპიტალის ბაზრების დარგში და დირექტორი საინვესტიციო საბანკო დარგში „გალტ & თაგვარტ სიქიურითისში“, საქართველოს წამყვან საბროკერო კომპანიაში. ლექსომ საკუთარი კარიერა 1999 წელს დაიწყო საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში. ლექსოს მიღებული აქვს ხარისხი მექანიკა-მათემატიკის დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ალექსი ხოროშვილი დაინიშნა ბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ. ბანკში გადმოსვლამდე ალექსი მუშაობდა „Ernst & Young“-ში სხვადასხვა თანამდებობაზე. ალექსი იყო უფროსი მენეჯერი ფინანსური მომსახურების განყოფილებაში „Ernst & Young“-ის თბილისის ოფისში 2008-2009 წლებში. 2005-2008 წლებში ალექსი მუშაობდა „Ernst & Young“-ის სხვადასხვა ოფისში, მათ შორის მოსკოვში, ალმატაში, ბაქოსა და ნიუ-იორკში. ალექსის მიღებული აქვს ბაკალავრის დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირების დარგში კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

ტატო ჩანტლაძე დაინიშნა იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. ტატო ბანკში „DLA Piper“-დან გადმოვიდა, სადაც იგი კომპანიის თბილისისა და ნიუ-იორკის ოფისებში ადვოკატად მუშაობდა. „DLA Piper“-ში მუშაობის დაწყებამდე იგი მუშაობდა 2004-2005 წლებში იგი იყო საქართველოს წამყვანი სადაზღვევო კომპანიის „აღდავი ბისია“-ს რეგიონული ოფისის კოორდინატორის მოადგილე. ტატოს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო სამართალში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის იურიდიულ სკოლაში.

სს „სახალხო ბანკის“ შესახებ

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 4.1% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 28,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge

„ლიბერთი ინვესტმენტის“ შესახებ

„ლიბერთი ინვესტმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერთი ინვესტმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lg@libertycapital.ge

დიმიტრი კასატკინს
დირექტორის მოადგილე
+44 77 860 28 700
ელ-ფოსტა: dk@libertycapital.ge

დავით მელიქიძე დაინიშნა დირექტორის მოადგილედ ფინანსურ დარგში. დავით მელიქიძე ბანკში „Ernst & Young“-დან გადმოვიდა, სადაც იგი 2004-2009 წლებში იყო უფროსი სპეციალისტი აუდიტისა და მომსახურების დარგში. დავითს ხანგრძლივი გამოცდილება აქვს წლიური ანგარიშების, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური ბაზრების სახელმძღვანელო რეგულატორის მოთხოვნის შესაბამისობის მიმოხილვის, შემოწმებისა და შესაბამისობის პროცედურებში. დავითს მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლიდან და იგი არის ამერიკის შეერთებული შტატების საბუღალტრო სტანდარტების სერთიფიცირებული საჯარო ბუღალტერი.

სანდრო რთველაძე დაინიშნა კორპორატიული და სამერჩანტო საქმიანობის თანადირექტორად. ბანკში გადმოსვლამდე სანდრო 2009 წლის მანძილზე მუშაობდა ანალიტიკოსად „UBS“-ის ლონდონის ოფისში. „UBS“-ში გადმოსვლამდე სანდრო მუშაობდა საქართველოს გაერთიანებული ენერჯოლისტრიბუციის კომპანიაში და ანალიტიკოსად გერმანულ კომპანიაში „To Do Solutions“. სანდროს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსურ ეკონომიკაში ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნეს სკოლიდან.

დავით ვერულაშვილი დაინიშნა კორპორატიული და სამერჩანტო საქმიანობის თანადირექტორად. ბანკში გადმოსვლამდე დავითი 2008-2009 წლებში იყო კორპორატიული საბანკო დეპარტამენტის ხელმძღვანელი „პროკრედიტ ბანკში“. 2006-2008 წლებში დავითი მუშაობდა „საქართველოს ბანკში“ კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. „საქართველოს ბანკში“ გადმოსვლამდე დავითი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე „პროკრედიტ ბანკში“, მათ შორის, იგი იყო ცენტრალური ფილიალის მმართველი (2005-2006 წლები), ცენტრალური ფილიალის საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი (2004-2005 წლები) და უფროსი საკრედიტო ოფიცერი/დაკრედიტების ჯგუფის ხელმძღვანელი (2003-2004 წლები). დავითს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ინფორმატიკასა და საწარმოების მენეჯმენტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

თემურ აბულაძე დაინიშნა საკრედიტო რისკების დეპარტამენტის დირექტორად. ბანკში გადმოსვლამდე თემური 2006-2009 წლების განმავლობაში მუშაობდა „მადნეულის“ მფლობელ კომპანიაში „Geopromining Group“, ასევე სომხეთში მადნეულის მომპოვებელ კომპანიაში. თემურს ხანგრძლივი გამოცდილება აქვს საკრედიტო რისკების მართვაში. იგი სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა „საქართველოს ბანკში“, მათ შორის, იყო საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე 2001-2005 წლებში, საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილების უფროსი 2000-2001 წლებში, მთავარი საკრედიტო რისკების ანალიტიკოსი 2000 წლის იანვრიდან მისამდე და საკრედიტო რისკების ანალიტიკოსი 1999-2000 წლებში.

მანანა აკობია დაინიშნა პირადი ბანკირის მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელად. ბანკში გადმოსვლამდე 2008-2009 წლებში მანანა მუშაობდა ფინანსურ დირექტორად ქართულ-რუსულ საინვესტიციო კომპანიაში „Metra Group Georgia Ltd“; იგი ასევე იყო უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიის „Park Town“ შიდა აუდიტის ხელმძღვანელი. ამ კომპანიებში გადმოსვლამდე მანანა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა „საქართველოს ბანკში“, მათ შორის, იგი იყო პირადი ბანკირი 2004-2008 წლებში, უფროსი ანგარიშთა მმართველი 2002-2004 წლებში და ანგარიშთა მმართველი 2002 წელს. მანანას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში კავკასიის ბიზნეს სკოლიდან.

ნინო ონიანი დაინიშნა მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორად. ნინო ბანკში გადმოვიდა კომპანიიდან „ProIT“, სადაც იგი 2009 წლის მანძილზე იყო პარტნიორი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში ნინო მუშაობდა „აქსის დეველოპმენტში“ მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელად. 2005-2006 წლებში ნინო იყო „ავერსი ფარმას“ საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო 2004-2005 წლებში ანგარიშთა მმართველი სარეკლამო კომპანიის „Ogilvy“ მოსკოვის ოფისში. ნინოს მიღებული აქვს დიპლომი საზოგადოებასთან ურთიერთობების დარგში რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტიდან.

შოთა დეკანოზიძე დაინიშნა სტრუქტურირებული პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორად. ბანკში მოსვლამდე შოთა 2001-2007 წლებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე „საქართველოს ბანკში“, მათ შორის, დოკუმენტური ოპერაციებისა და ვაჭრობის დაფინანსების პროექტების კოორდინატორად და დოკუმენტური საქმიანობის განყოფილების უფროსად. შოთას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში გაერთიანებული სამეფოს ჩესტერის უნივერსიტეტიდან.

თემურ ირემაშვილი დაინიშნა „სახალხო ბანკის“ შვილობილი საბროკერო კომპანიის „Liberty Securities“ დირექტორად. თემური ბანკში გადმოვიდა „გალტ & თავგარტ სიქიურითის“-დან, სადაც იგი 2006-2009 წლებში იყო საბროკერო საქმიანობის ხელმძღვანელი, ხოლო 2001-2006 წლებში ბროკერი. თემურს მიღებული აქვს დიპლომი ფინანსებსა და საბანკო საქმეში თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მაგისტრის ხარისხი მათემატიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ლევან ჩაჩუა დაინიშნა შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორად. ლევანი ბანკში საქართველოს წამყვანი სისტემების ინტეგრირებისა და ქსელური მომსახურების პროვაიდერი კომპანია „Greenet“-დან გადმოვიდა, სადაც იგი

კორპორატიული და საბანკო პროგრამების მომსახურების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. „Greennet“-ში მუშაობის დაწყებამდე ლევანი იყო ფილიალების განვითარების დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი „რესპუბლიკა ბანკში“ (ჯგუფი „Société Générale“). 2006-2007 წლებში ლევანი იყო შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი „საქართველოს ბანკში“. „საქართველოს ბანკში“ გადასვლამდე ლევანი მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. ლევანს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკაში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

გიორგი კაციტაძე დაინიშნა ბანკის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელად. ბანკში გადმოსვლამდე გიორგი 2006-2009 წლებში ხელმძღვანელობდა „საქართველოს ბანკის“ უსაფრთხოების სამსახურს. გიორგის საქართველოს სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურაში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება აქვს, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროს სპეციალური ლეგიონი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. გიორგის დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტროს აკადემია და მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტიდან.

თამუნა მაჭავარიანი დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად. ბანკში გადმოსვლამდე 2008-2009 წლებში თამუნა იყო ოპერაციების დირექტორი „Galt & Taggart Asset Management“-ში, ხოლო 2007-2008 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. 2005-2007 წლებში თამუნა იყო „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის თანამშემწე. თამუნას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში თბილისი ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტიდან.

„მოხარული ვარ, რომ ასეთი შესანიშნავი მმართველი გუნდის შექმნა შევძელით. ბანკში შეიკრიბნენ როგორც ადგილობრივი ბაზარზე, ისე საერთაშორისო კომპანიებში მუშაობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდა და ჩამოყალიბებული პროფესიონალები. ასევე მიხარია, რომ ბანკში დაგვხვდნენ ნიჭიერი პროფესიონალები, რომლებიც „ლიბერთი კაპიტალის“ მიერ ბანკის შესყიდვამდე მუშაობდნენ და ისინი კვლავ ინარჩუნებენ საკუთარ თანამდებობებს. ჩვენ ყველას საერთო ხედვა და სტრატეგიული მიზნები გვაქვს, რაც ბანკის რესტრუქტურისა და ბეგრად უფრო ეფექტურს გახდის. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ბანკში მომუშავე მენეჯმენტის 37 წევრს შევატყობინეთ, რომ ისინი შეძლებენ 2010 წლის იანვრიდან მონაწილეობა მიიღონ თანამშრომელთა აქციებით კომპენსაციის გეგმაში, მას შემდეგ რაც მოხდება გეგმის აქციონერთა კრების მიერ დამტკიცება. ჯამში ბანკის სააქციო კაპიტალის დაახლოებით 8%, აქციონერთა კრების მიერ დამტკიცების შემთხვევაში, მიენიჭება მენეჯმენტის ამ გუნდს“, აღნიშნა სს „სასაქონლო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.